ნახ. გ. ფირცხალავასი

1
1967

# ნიანგი

№ 5 (1255) თბილისი, მ ა რ ტ ი 1967
გამოდის 44-ე წელი
ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი.



სსრ კავშირის ჩემპიონი ნანა ალექსანდრია.



სსრ კავშირის ჩემპიონი გოგონათა შორის
ციური კოზაიძე.



## სარვამარტო გამოფენა

ნახ. ვ. ფირცხალავასი

1
1967

# ნიანგი

№ 5 (1255) თბილისი, მარტი 1967
გამოცემის 44-ე წელი
ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი.



სსრ კავშირის ჩემპიონი ნანა ალექსანდრია.



სსრ კავშირის ჩემპიონი გოგონათა შორის
ციური კოზაიძე.



## სარვამარტო გამოფენა

# ყვავილების ქვეყანა

რაღა ბევრი გავაგრძელო და შუა ზამთარში ჩვენი დიდი სამშობლოს დიდ დედაქალაქს ვეწვიე.

...თოვლი (თეთრი ყოფილა!). ყინვა (მაგარი ყოფილა!) და... ყვავილები!

ყვავილები ბაზრებში, ყვავილები მეტროს გადასასვლელებში, ყვავილები გორკის ქუჩაზე!..

უნებურად ვკითხულობთ:

— საიდან გაჩნდა ამდენი ყვავილი აქ ამ შუა რუსულ ზამთარში?!

— საქართველოდან! — გვპასუხობენ ერთხმად და ღიმილით დასძენენ:

— ჰო, ჩვენ ყველა სამხრეთელს ქართველს ვეძახით, ვერ ვარჩევთ და რა ვქნათ?!

უზარმაზარი ქალაქი ასფურცელასავით იზრდება და დიდად არავის უკვირს, რომ მოსკოვის მეყვავილეობის მეურნეობა ვერ აკმაყოფილებს ყვავილებზე მოთხოვნილებას და ჰოი, რაღა არ ჩაუტანიათ ჩვენს თანამემამულე „მეყვავილეებს“ მოსკოვში.

— კი მაგრამ, ასენაირფერადი ყვავილები სად გამოგყავთ?! — ვეკითხებით.

— ჰე, ჰე, ჰე!.. — იცინიან ოქროყანელები, წავკელები, კოჯრელები, — ჩვენი სოფლის მინდვრები ხომ სავსეა ათასგვარი ყვავილით. ჰოდა, ჩვენც ვკრეფთ, ვახმობთ და საზამთროდ ვინახავთ. მერე ვშოულობთ უბრალო საღებავს, ვხსნით ცხელ წყალში, იმ გამხმარ ყვავილს ჩურჩხელასავით შიგ ამოვავლებთ და მორჩა! რა ფერის ყვავილიც გინდა, მზადაა!

— თქვენ პრემიაც გეკუთვნით გამომგონებლობისათვის! — „ვიხიბლებით“ ჩვენი თანამემამულეების „ჭკუამახვილობით“.

— ეგ რა არის, ერთი ამას შეხედეთ?! — რაღაც ეკლებზე გვითითებს ზორბა ვაჟკაცი.

ვაკვირდებით და თვალებს არ ვუჯერებთ: თაგვისარა ეკალი, ჩვენში ჭურებს რომ რეცხავენ, ის.

— როგორ? მოსკოველებმა მარნები გაიწყვეს და თაგვისარას ჭურების სარეცხად ყიდულობენ?

ზორბა ვაჟკაცს ეცინება:

— რის მარნები?! რა ჭურის რეცხვა?! თითო ღერს აბაზად ვყიდი, კაი ვარდის ფასად!

— რას, ბიჭო?!

— მერე რა თქვენი საქმეა, ჩვენ რასაც გავყიდით! — შემოგვიტიეს კიდეც...

ვინ არიან ისინი?

**ბარაჩაშვილი ბონდო ალექსის ძე,** დაბადებული 1937 წელს, ცხოვრობს სოფ. ოქროყანაში. იცრუა, თბილისის ოქტომბრის რაიონის № 21 სამღებრო საამქროში (გოგლიძის ქ. № 24) ვმუშაობო. სამღებრო საქმე რომ ნამდვილად იცის, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ გამხმარ ბალახ-ბულახს დიდი ოსტატობით ღებავს და ყვავილებად ასაღებს.

**ქოროღლიშვილი შალვა ვლადიმერის ძე,** დაბადებული 1942 წელს, ცხოვრობს სოფ. წავკისში. რა თქმა უნდა, არსად არ მუშაობს. უმაღლესში მინდა ჩავაბაროო და ილია ჭავჭავაძის ვერც ერთი ნაწარმოების სათაური ვერ დაასახელა. რასაკვირველია, როგორც „ჭეშმარიტი“ წავკისელი, შალვა ყვავილებით ვაჭრუკანობდა. ჰაი, დედასა! გმირი თინა წავკისელის სოფელში რა ბიჭი გაზრდილა!

მისი თანასოფლელი **ქოროღლიშვილი ალექსი ნიკოლოზის ძე,** დაბადებული 1941 წელს, ალკკ წევრი. გვარიშვილობას არც მან უღალატა, ყვავილების ქვეყანა ჩოქვით შემოიარა, დაკრიფა, რასაც მისი თითები ეყო და მოსკოვში ჩაიტანა.

კიდევ ერთი **ქოროღლიშვილი,** სახელად **გრიგოლი.** დაბადებული 1935 წელს, რა თქმა უნდა, წავკისში. არანაყვავილარი სახის ვაჟკაცია. მოსკოველებს განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა, — სულ ყვავილებს უფენდა და ფენა-ფენად იჯიბავდა ფულს.

**ძანძავა თინა გერმანეს ასული,** დაბადებული 1926 წელს, ცხოვრობს ქ. ზუგდიდში, ფოთის ქ. № 27-ში. ვაჭრობდა თაგვისარა ეკლით (ვარდის ფასად რომ იყიდება).

**ფარსადანოვა როზა არტემის ასული,** დაბადებული 1929 წელს, ცხოვრობს ქ. ბათუმში, მაიაკოვსკის ქ. № 10-ში. არსად არ მუშაობს. როზას უფრო „ფართო სპეციალობა“ აქვს — მოსკოვის ჩერიომუშკის ბაზარში ვაჭრობდა ყვავილებით, მანდარინით და... მწვანილით. დიახ, მწვანილით!

**ტრიფტიანიდი ანასტასია სტავრის ასული,** დაბადებული 1916 წელს იმავე ბათუმში, იმავე ქუჩის იმავე ნომერში ცხოვრობს და იმავე ბაზარში იმავე საქონელს ჰყიდდა, თანაც ქალიშვილს ელოდა ბათუმიდან — საქონლის ახალ-ახალი პარტია უნდა ჩამომიტანოსო.

ყვავილები ყვავილებად... და, აი, ზოგი სხვა დარგის „სპეციალისტიც“:

**მესხია გივი როდიონის ძე,** დაბადებული 1934 წელს. ცხოვრობს გალში, ენგელსის ქ. № 59-ში. ექვსი თვეა, არსად არ მუშაობს. მოსკოვში, ჩერიომუშკის ბაზარში ვაჭრობდა ლუფით („მაჩალკით“). არავითარი ცნობა არ გააჩნდა, თუ ვისი იყო საქონელი. სასაცილო (თუ სატირალი!) ისაა, რომ იმავე დღეს მოსკოვის ცენტრალურ ბაზარში ისევ ლუფით მოვაჭრე სხვა პიროვნებამ წარმოადგინა სამხედრო ბილეთი, გაცემული გივი როდიონის ძე მესხიას სახელზე. ასე რომ, ერთს პასპორტი ჰქონდა თან, მეორეს — სამხედრო ბილეთი და ორივეს კი — ლუფა. რამდენი „მაჩალკა“ იქნება საჭირო, რომ ორივე ეს ქორვაჭარი განიბანოს უწმინდურობისგან?

**ფიჩხაძე გავრილ მიხეილის ძე,** დაბადებული 1937 წელს. ალკკ წევრი, 5 წელია არსად არ მუშაობს, ცხოვრობს სურამში, გორგასლის ქ. № 12-ში, ხოლო ჩაწერილია იქვე, ჯაფარიძის ქ. № 6-ში. მოსკოვის მაღაზია „ბავშვთა სამყაროში“ დაძრწოდა სპეკულანტური მიზნით, როცა ამაზე მივუთითეთ, თქვენ გიჟები ხომ არა ხართო, გვითხრა სურამელმა...

**თეთრუაშვილი შიმშონ ჟანატის ძე,** დაბადებული 1905 წელს. ცხოვრობს ქ. ქუთაისში, ჯაფარიძის ქ. № 34-ში. მოსკოვის ავეჯის მაღაზიებში იცნობენ, როგორც „დამსახურებულ“ სპეკულანტს.

**შენგელია შოთა სევერიანის ძე,** დაბადებული 1944 წელს. ცხოვრობს ქ. ბათუმში, ფრუნზეს ქ. № 32-ში, მუშაობს ბათუმის რკინიგზის რესტორანში მებუფეტედ. მანდარინის ბაღი არა აქვს და მეგობრის ნაჩუქარ მანდარინს ვყიდიო, — განაცხადა. იმ მეგობრისა მაინც არ რცხვენია, ვინც ეს მანდარინი „აჩუქა?“

**მეგრელი თეიმურაზ ვარლამის ძე,** დაბადებული 1946 [illegible] მოსკოვში ცხოვრობს ჩაუწერლად. გაურკვეველი პროფესიისაა. [illegible] ტურისტებისკენ დიდი ლტოლვა აქვს. ასე მაგალითად, კაფე „მოლოდიოჟნაიაში“ უცხოელებთან სავაჭროდ განწყობილს წაასწრეს...

ამდენ გაწამაწიაში, როგორც იქნა, მოვახერხეთ და რუსთაველის ძეგლთან მოვიდრიკეთ მუხლები „ბოლშაია გრუზინსკაიას“ ქუჩაზე. დაელოცოს მარჯვენა ამ ძეგლის შემქმნელს! თეთრი ქრიზანთემების თაიგული დავუდეთ ფერხთით სულმნათს. ერთ თაიგულს მაინც ავაცილეთ ბაზრის უსიამო ატმოსფერო და სიამაყე განვაცდევინეთ.

არ გვინდოდა, მის უღირს თანამემამულეებზე გვეთქვა რაიმე და ხმის ამოღებას ვერ ვბედავდით.

და მაშინ... ჰოი, რუსთაველის გენიავ!.. თვითონ მიგვიხვდა ღმერთკაცი გულისწუხილს:

„ვა, ოქრო მისთა მოყვასთა
აროდეს მისცემს ლხენასა,
დღედ სიკვდილამდის სიხარბე
შეაქნევს კბილთა ღრჭენასა“.

ნიანგელები




— ბიჭია, ბიჭო!
— რვა მარტს დაბადებული ბიჭი თქვენ გყავდეთ!

## ეგებ ვუშველოთ

სახელად ერთი ქმარი ჰყავს,
სახრავად — სამი მინისტრი;
რვა ბინა გამოიცვალა
და მაინც დარბის ბინისთვის.
ხან ლაიპციგის ქურქშია,
ხან იტალიურ ქურთუკში,
ხან „ვოლგით“ ჩამოიქროლებს,
ხან ჩამოირბენს გუნდრუკით.
ხან მატარებლით მგზავრობს და
ხან „ტუ-ას ოთხით“ ნავარდობს,
ხან რიგას უვლის, ხან — ტალინს,
ხან „გუმის“ კარებს დარაჯობს.
ხან იზა ჰქვია, ხან — ნანა,
ხან — ციცო, ხან კი — თამრიკო,
ხშირ-ხშირად იცვლის სახელებს,
კვაჭანტირაძის არ იყოს.
არიქა, ეგებ ვუშველოთ,
გამოვუცვალოთ ცხოვრება,
რომ მოასვენოს ხალხიც და
აღშფოთებული გონებაც.

დოდო ზურაბიშვილი

ნახ. მ. აბაშიძისა



## ცეროდენა ანეგდოტები

ც ო ლ ი: შენ შეგიძლია, ჩემით იამაყო! სად იშოვნიდი ჩემისთანა ქალს?! როიალზე ვუკრავ, ვმღერი, ვხატავ...

ქ მ ა რ ი: კიდევ კარგი, რომ საჭმლის კეთება ცოტათი მაინც იცი!..

— · —

ქ ა ლ ი მეგობრებს თავის მესამე ქორწინებაზე უყვებოდა:

— მივუახლოვდით თუ არა საკურთხეველს, უცებ საყდარში სინათლე ჩაქრა.

— მერე?

— მაინც განვაგრძეთ სიარული. მე ხომ გზა კარგად ვიცი.

— · —

— ჩ ვ ე ნ ჩვენი ნიშნობა ძალადაკარგულად გამოვაცხადეთ. ჩემი და ჩარლის ურთიერთობა შეიცვალა.

— კი მაგრამ, თქვენ რომ მისი ნაჩუქარი ბეჭედი გიკეთიათ?

— ბეჭედთან ჩემი ურთიერთობა იგივე დარჩა.

— · —

ო რ ი მსახიობი ქალი საუბრობდა:

— არაფრით არ შემიძლია დავიჯერო, რომ ელენი ცოლად გაჰყვა იმ კრიტიკოსს, რომელიც სულ მის ლანძღვაში იყო.

— გასაკვირი აქ არაფერია, მან გადაწყვიტა შური ეძია.

— · —

მ ა მ ა კ ა ც თ ა საპარიკმახეროში დალაქმა თავის კლიენტს უთხრა:

— ამ ბოლო დროს სულ გაგცვივდათ თმები. რაც დაგრჩათ, მის შესანარჩუნებლად თუ აკეთებთ რამეს?

— კი, ცოლს ვშორდები.

თარგმნა ვახტანგ ელენტმა.



— გაყევი, გოგო ცოლად, ფხიანი თევზია!



— რას დასდევს ეს ხალხი?!
— დირექტორის აზრებს იჭერენ...



ნახ. დ. ზარაფიშვილისა

— ნუ სცემთ ბავშვს, ეს აღზრდის არასწორი მეთოდია!..
— რა მოხდა, მეც ყოველდღე მცემდნენ ბავშვობაში.
— გეტყობათ!..

# აი, მიზეზი!

ავადმყოფობაზე ჩამოვარდა საუბარი და ბაბუაჩემმა თქვა: ახლა გადირია ხალხი, თორემ ჩემ დროს მხოლოდ ერთი ავადმყოფობა არსებობდა, უჟმურს ეძახდნენ. ერთი ექიმბაში გვყავდა, ექვს სოფელს ემსახურებოდა. ავად რომ გავხდებოდი, მოიყვანდნენ, ჯაყვა დანით ნახშირს ჩათლიდა წყალში (მე თქვენ გეტყვით, მედიკამენტებისა და პრეპარატების მოვნა ჭირდა!), შემილოცავდა — ამ თომას გაეყარე, იმ თომას შეეყარეო. მეზობელ სოფელში კიდევ იყო ერთი თომა და ახლა იგი წაიქცეოდა, იმასთანაც მიიყვანდნენ, იმავე ლოცვას ეტყოდა და ისევ მე მომახტებოდა უჟმური. ბოლოს, თვითონ უჟმურს მოსწყინდა ორ თომას შორის აქეთ-იქით სირბილი; აგენი შემიკლავენ ხელშიო, და, საერთოდ, გადაიკარგა სადღაც.

თორემ ახლა რა ამბავია, თვითონაც მოგეხსენებათ; იკრიბება სიმპოზიუმები, იმართება სამეცნიერო სხდომები, კონფერენციები და სხვადასხვა ფორუმები. განსწავლული შვილები მსჯელობენ იმაზე, თუ რატომ გახდა ასე მასობრივი გულის დაავადება — ინფარქტი. მიზეზად ნიკოტინს, ალკოჰოლს, მზის ლაქებსა და ათას სხვა რამეს ასახელებენ.

ზოგი ფიქრობს, რომ დედამიწის დიდი ფართობი ასფალტით დაიფარა და ესაა ინფარქტის გამომწვევი მიზეზიო.

სანამ ნამდვილ მიზეზებს გაგიმხელდეთ, მოგიყვებით ერთ საუბარს, რომელსაც შემთხვევით შევესწარი. ერთმა შესჩივლა მეორეს, გულის ტკივილები მაქვსო.

— ღვინოს სვამ?
— არა!
— თუთუნს ეწევი?
— არა!
— აბა მოკვდები!
— რატომ?!
— იმიტომ, რომ როცა გული ცუდად გაგიხდება, რამეს უნდა დაანებო თავი, შენ არაფერი გქონია თავდასანებებელი და მოკვდები, აბა, რა მოგივაო.

მესამემ, რომელიც ამ საუბარსაც ესწრებოდა, ღვინოსაც სვამდა და თუთუნსაც ეწეოდა, თქვა: დამატებით კიდევ რაიმე სიგლახეს უნდა დავეჩვიო, რომ ავად გახდომის შემთხვევაში, იმას დავანებო თავი, თორემ ღვინოსა და თუთუნს ვერ შეველევიო.

ახლა კი დაგისახელებთ ინფარქტის გამომწვევ მიზეზებს:

მტრისას, დღეს რომ ქალაქის სატელეფონო ქსელი მუშაობს!

მეორე ნომრის აკრეფის შემდეგ (თუ პირველზე არა) აუცილებლად გამოერთვებით, ან ვიღაცის ლაპარაკში ჩაერთვებით. ხან ექვსი კაცის საუბარს ისმენთ ერთდროულად. ექვსივეს უსკდება გული და არის ერთი გადაკივლება...

სატელეფონო ქსელის მუშაობას თქვენც კარგად იცნობთ და ყველას გაქვთ გულები დასიებული.

მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის მიერ გამოცემულ ზოგ წიგნს ახლავს ტაბულები. როგორც წესი, ტაბულათა საძიებლები აუცილებლად ცალკეა მოთავსებული, თითქოს იქვე არ შეიძლებოდეს მიწერა — „სვეტიცხოველი სამხრეთის მხრიდან“ და ა. შ.

ერთ ჩემს ნაცნობს კინოსეანსის მსვლელობის დროს, თურმე, ინფარქტი მოუვიდა. გამოირკვა: ზომა-წონის ინსტიტუტს რაღაც წლისთავი შესრულებოდა და ჟურნალში ინსტიტუტის მუშაობა გადაეღოთ. იქ ერთი ასეთი დეტალიც იყო: აწონეს სუფთა ქაღალდი, ერთ-ერთმა თანამშრომელმა ქაღალდზე თავისი გვარი მოაწერა. იმ მელნის სიმძიმით, რომელიც ქაღალდს მიემატა, სასწორი გადაიხარა.

მე პირველად გავიგე ასეთი ინსტიტუტის არსებობა (ამდენი თანამშრომლით). ჩემთვის არასოდეს აუწონიათ ერთი კილო პროდუქტი, რომ იგი ზუსტად ერთი კილო გამოსულიყო. ამის შემხედვარეს ინფარქტი დაგემართებოდათ, აბა, რა იქნებოდა? მე ის მიკვირს, დანარჩენი მაყურებლები როგორ გადარჩნენ უინფარქტოდ.

ამ ამბავს რომ ახსენებენ, იმ ჩემს ნაცნობს ახლაც ერღვევა სისხლის მიმოქცევა და ხანგრძლივად ფითრდება.

ჯერ არ მახსოვს, ჰონორარი ამეღოს და რაიმე საბუთი არ მკლებოდეს. ყოველთვის რაღაც არასწორად მაქვს, რაღაც მაკლია... ბუღალტერია კი ისეთი რთული და გაუგებარი რამაა ჩემთვის, რომ მუდამ შიშისკანკალით შევყურებ. იგი უფრო ბურუსითაა მოსილი, ვინემ ამინდის ბიურო.

ამინდის ბიუროს, ჩემის აზრით, ინფარქტში არ მიუძღვის ბრალი. მისი მიზეზით შეიძლება შეგვეყაროთ სურდო, გრიპი, ფილტვების ანთება და ა. შ. ამინდის ბიუროთი შეიძლება გართობაც. ერთხელ, სტუმრების სიმრავლისა და ბინის სივიწროვის გამო, გადავწყვიტე, ეზოში გადამეხადა დღეობა, დავურეკე ამინდის ბიუროს და შევეკითხე, როგორი ამინდი იქნება ხვალ-მეთქი. მიპასუხეს, ალაგ-ალაგ წვიმაა მოსალოდნელიო.

— რომელ ალაგას არ იქნება წვიმა, რომ სუფრა იქ გავშალო-მეთქი. მითხარი, რა ალაგას ცხოვრობ და მაშინ გეტყვიო, — მიპასუხეს „ენამოსწრებულად“.

მე ჩამოვთვალე ინფარქტის გამომწვევი მიზეზები, რომლებიც გულს მიხეთქავენ. ალბათ, თქვენც გიხდებათ ურთიერთობა ისეთ ორგანიზაციებთან თუ საგნებთან, როგორიცაა სახლმმართველობა, ლიფტი, ქალაქის ტრანსპორტი, წყალკანალტრესტი, თელასი და სხვა. ამას დაუმატეთ ის მიზეზებიც, რომლებსაც სხვადასხვა სამედიცინო სიმპოზიუმებზე ასახელებენ და დარწმუნდებით, რომ არა ყოფილა ჩვენი საშველი.

ბევრი დაწერილა და თქმულა ყველაფერ ამაზე, თუნდაც სატელეფონო ქსელის მუშაობაზე, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. ისევე თქმით თუ მოვიფხანთ საინფარქტე გულებს და შოთას სიტყვებით თუ დავიმშვიდებთ თავს: „დიდი ლხინია ჭირთა თქმა“ ან „კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია?“ ■

ერთმა ამხანაგმა მითხრა (და მეც დავეთანხმე): ინფარქტს ლათინურად ეძახიან, თორემ ქართულად ბოლმა ჰქვია, არ გაგიგონია გამოთქმა — „ბოლმამ მოკლა ეგ საწყალიო?!“

**რობერტ სტურუა.**



— თუ კაცი ხარ, ისეთი საქონელი მომეცი, თავში რომ არ გაქარებოდეს!
— მასეთი კატა მყავს აგერ...

ნახ. გ. გორდელაძისა



— შვილო, ბავშვს ჩემი სახელი — სიმონი დაარქვით!..
— მე მართლა სიმონ, შვილს სიმონა როგორ დავუძახო?!

ნახ. ა. კანდელაკისა




# მიკრომოთხრობები

## სასწრაფოში

— რაშია საქმე, მოქალაქევ?!
— კედელზე იყო გაკრული წარწერა: „გვერდს ნუ აუვლით ხულიგანს!“ დავუჯერე და, ა, რას მიგავს ღრანჭი!
— ნუთუ არავინ დაგიჭირათ მხარი?
— თავიდან არავინ. ჯერ აცალეს, კარგად რომ იჯერა გული და მომშორდა, მერე დამიჭირეს მხარი და სასწრაფომდე მომიტანეს.

## ორიგინალური ტრაგედია

— ვერ გამიგია, რატომ ჰქვია ამ პიესას ტრაგედია?
— როგორ თუ რატომ?! ვერ ხედავ, პირველსავე მოქმედებაში ხალხი სიცილით კვდება?!
— ფინალზე რას იტყვი?
— ფინალი ყველას მოეწონა, — პრემიერა ბანკეტით დამთავრდა.

## საყვედური კარგი შესრულებისთვის

— მომილოცავს! იშვიათად შეასრულე მთვრალის როლი!
— რას მილოცავ! მეოთხედ გამომიცხადა საყვედური დირექტორმა სამსახურში ნასვამ მდგომარეობაში გამოცხადებისთვის.

## ვინ არის მომხრე?

კრებაზე ბუზის გაფრენასაც გაიგონებდით. კრებაზე ლაპარაკი იყო თანამშრომელთა სიფხიზლეზე. ყველას ეძინა. მხოლოდ ერთი თანამშრომელი მძიმედ აღვანღვალებდა თავს ბოლო რიგში.

— ვინ არის მომხრე? — წამოდგა თავმჯდომარე.

მომხრე იყო ყველა. არავინ იყო წინააღმდეგი, რადგან მოწინააღმდეგე მტერია, მტერს კი, მოგეხსენებათ, არ სძინავს. აქ კი ყველას ეძინა. იდეალური სიჩუმე იყო. სიჩუმე თანხმობის ნიშანია.

თვალზე რულმორეულმა თავმჯდომარემ უინტერესოდ მოავლო თვალი მიძინებულ კლუბს.

— თავი ვინ შეიკავა? — იკითხა სერიოზულად თავმჯდომარემ.
— მე ვიკავებ თავს... დანარჩენს ყველას სძინავს. — წამოხტა ვიღაც ბოლო რიგებიდან.

## საწვრთნელი ვარჯიში

იპოდრომზე საწვრთნელი ვარჯიში მიმდინარეობდა. მეჯინიბეები თავლებთან ტრიალებდნენ. გახელებული ულაყები სალექ რეზინასავით ხრავდნენ ლაგამებს.

ერთ ბებერ ცხენთან იდგა მასზე ბებერი მხედარი ნახაზებითა და დიდი პორტფელით. სამი კაცი ეხმარებოდა ცხენზე შეჯდომაში.

— ვინ არის ეს მოჩვენება? — ვკითხე მწვრთნელს. — ალბათ, ძველი მხედარია და ჟინს იკლავს!
— მხედარი კი არა, რაციონალიზატორია, დაბრკოლებების გადალახვაში ვარჯიშობს, — მიპასუხა მან ხუმრობის გარეშე.

## კოსტუმია ცოდვა

ერთიმეორეზე — „ზრდილობიანები“ ჩანდნენ. სუფრის ბოლოს ერთმა მეორეს ღვინით სავსე ბოთლი უთავაზა. მასპინძლებმა სიამოვნებით გადახედეს ერთმანეთს.

— კოსტუმი მეცოდება, ლაქები დააჩნდება, — თქვა დიასახლისმა.
— მადლი თუ ქენი, ზედ მარილიც მოაყარე, — უთხრა ჩხუბის წამომწყებს მასპინძელმა და სამარილე გაუწოდა, — ლაქებს ამოიყვანს.

## მორყეული სკამი

ამ საავეჯო ფაბრიკაში ზოგს გადაკვრა უყვარდა, ზოგს — გადაკრული საუბარი.

— ვინ იცის, რამდენი სკამი გამოიცვალა ჩვენმა დირექტორმა! — თქვა ამას წინათ ერთმა.
— ამ სკამმაც ბევრი დირექტორი გამოიცვალა, — არ დააყოვნა პასუხი მეორემ.

## ჟურნალისტური

— ხომ არ იცი, ვაჟას იუბილე როდისაა?
— რაზე კითხულობ!
— იქნებ პროსპექტი შეაკეთონ

**გაიოზ დაშნიანი.**

# ხათუნას არჩევანი

იწუნებდა საქმროებს
მშვენიერი ხათუნა:
— ვუი, რას ჰგავს!
— ბევრსა სვამს!
— აღზრდილია ქართულად!
— ვერ დაუცავს ხარისხი!
— თურმე დედაც ჰყოლია!
— აგარაკი არა აქვს!
— თითქმის ჩემი ტოლია!
— ცუდი ბუნებისაა!
— უმანქანოს გავყვები?!
— რაო, მომღერალიო?
ხად მაქვს მაგის ძარღვები!

— : —

როგორც იქნა, ამოჩნდა
კაცი კარგი ბუნების,
მოხდენილი, დოქტორი,
წვეთს არა სვამს სრულებით.
ახალ სტილზე აცვია,
ხმარობს ფრანგულ სუნამოს,
ცენტრში ცხოვრობს უელამდე,
უდედოდ და უმამოდ.
ტელეფონი, მანქანა, —
არაფერი აკლია:
ზღვაზე აგარაკი აქვს,
წყნეთშიც აგარაკი აქვს.
დააქროლებს ხათუნას
საკუთარი მანქანით,
ვინც შეხედავს, თავს იქნევს:
— რა შვილი ჰყავს! რა ქალი!
სამაისო ვარდივით
გაშლილა და ყვავილობს...
თვალს უკრავენ ქალარას:
— სიძე არ გსურს, მამილო?!

**გივი ჭიჭინაძე**

# მხიარული ამოცანები

მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე დამლაგებელმა ნუცა საწყალაშვილმა სასტიკად გააკრიტიკა ტრესტის მმართველი ჰამლეტ ჭიჭიკოვიჩი.

კითხვა: რატომ ვერ მოხსნეს საწყალაშვილი?

პასუხი: სხვა დამლაგებელი ვერ იშოვნეს.

— : —

ხილეულის სამმართველოს თხუთმეტ მეტრიან ოთახში ზის ექვსი ბუღალტერი, ათიანში — ოთხი ეკონომისტი, რვიანში — ორი მდივანი, ორმოცდაათიანში კი — ერთი...

კითხვა: ის ერთი ქრისტე ღმერთია?

პასუხი: არა! სამმართველოს უფროსი.

— : —

იპოლიტემ 100 კგ. ყურძნისა და 80 კგ შაქრისგან 300 ლიტრა ღვინო დააყენა და ყველა გაყიდა.

კითხვა: რა იყიდა იპოლიტემ იმ ფულით?

პასუხი: სანატორიუმის საგზური — შაქრის ავადმყოფობის სამკურნალოდ.

**ვ. კახელიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



— რატომ არა გაქვთ ნომერი?!
— თქვენ რატომ არა გაქვთ თუმნიანი პასპორტში?

# პირნაკლი ზმნების უღლება

**I სერია**

**აწმყო**

**ვ მ უ შ ა ო ბ**

| მხ. რიცხვი | მრ. რიცხვი |
|---|---|
| მე ვმუშაობ | ჩვენ ვმუშაობთ |
| შენ მუშაობ | თქვენ მუშაობთ |
| ის მუშაობს | **ისინი ჭამენ** |

**რ ი გ შ ი ვ დ გ ა ვ ა რ**

| | |
|---|---|
| მე რიგში ვდგავარ | ჩვენ რიგში ვდგავართ |
| შენ რიგში დგახარ | თქვენ რიგში დგახართ |
| ის რიგში დგას | **ისინი ურიგოდ ყიდულობენ** |

**ვ ს წ ა ვ ლ ო ბ**

| | |
|---|---|
| მე ვსწავლობ | ჩვენ ვსწავლობთ |
| შენ სწავლობ | თქვენ სწავლობთ |
| ის სწავლობს | **ისინი უმაღლესში ეწყობიან** |

**მ ც ე მ ე ნ**

| | |
|---|---|
| მე მცემენ | ჩვენ გვცემენ |
| შენ გცემენ | თქვენ გცემენ |
| მას ცემენ | **ისინი გვიყურებენ** |

**ვ წ ე რ**

| | |
|---|---|
| მე ვწერ | ჩვენ ვწერთ |
| შენ წერ | თქვენ წერთ |
| ის წერს | **ისინი იბეჭდებიან** |

**აუღლა გ. ყურშიდაშვილმა**

დასავლეთ გერმანიის არმიას კვებავენ ნეოფაშისტური იდეებით.



ბონის საძოვრებზე.

# ნეკროლოგი

1966 წლის 31 დეკემბერს, ღამის 12 საათზე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ (გულზე ქონის მიწოლა), 365 დღის ასაკში გარდაიცვალა ჯერ კიდევ შემორჩენილი კაპიტალისტური გადმონაშთების (ხალტურა, სპეკულაცია, ქურდობა და სხვ.) უყოყმანოდ გამტარებელი, ლევან (ლევი) ტავარის ძე ქაფიანიძე.

ლ. ტ. ქაფიანიძე დაიბადა თბილისში, ნახალოვკაში („ნახალნი" თავის დღეში არ ყოფილა, დათაფლული ენით აკეთებდა საქმეს).

ლ. ტ. ქაფიანიძეს დაწყებითი განათლება არ მიუღია, მაგრამ ხელმოწერას ვაჟკაცურად მაინც ახერხებდა — ჯვარს არ უსვამდა.

ლ. ტ. ქაფიანიძემ დიდი უნარი გამოიჩინა ახალბედა კადრების მომზადება-დაწინაურების მხრივაც. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მილიციის, სასამართლოს, პროკურატურის, პრესისა და სხვა ორგანოების ულმრთო ჩარევით, 1966 წელში მცირდებოდა დანაშაულობანი და კადრები უწყვეტ ნაკადად მიდიოდნენ საპატიმრო ადგილებში. ნაწილი კადრებისა 1967 წლისთვისაც გვყავს შემონახული.

ლ. ტ. ქაფიანიძე იყო მომთხოვნი (ქვემოდან!), პრინციპული (პრინციპით ცხოვრობდა), პირუთვნელი (პირი მუდამ ღია ჰქონდა ჩასაყლაპავად)...

ლ. ტ. ქაფიანიძე დიდთან დიდი იყო, პატარასთან — პატარა.

ლ. ტ. ქაფიანიძემ შეთხზა ჩინებული სიმღერის ტექსტი:

„ეს ქვეყანა სათლელია, თალე, სანამ შეელევი,
ლევის ლევას ვერ ავიტან, მუდამ უნდა მქონდეს
ლევი".

ლ. ტ. ქაფიანიძემ შარშან ბრწყინვალედ დაამთავრა საკავშირო სავაჭრო-ეკონომიური ინსტიტუტის თბილისის ფილიალი; წლეულს იურიდიულ ფაკულტეტსაც ამთავრებდა, მაგრამ...

მაგრამ უკუღმართმა სიკვდილმა უდროოდ შეუწყვიტა სუნთქვა. ასე თარსი აღმოჩნდა მისთვის 1966 წელი. ჩვენ კი, მისი მადლიერი შთამომავლობა, გავაგრძელებთ ქაფიანიძის ბრწყინვალე ტრადიციებს და მის დროშას კიდევ უფრო მაღლა ავწევთ. მართალია, ამ ახალ წელში ცუდი სიზმრები შემოგვეჩვია, მაგრამ რას ვიზამთ, უკან დასახევი გზა არაა.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო ლევუშ! ღმერთმა ხელი მოგიმართოს იქ, ცივ სამარეში.

სირცხვილი ძველ წელიწადს, რომელმაც ასე ჩაგვაშხამა ახალი წელი; ჩაგვაშხამა და უკან ჩასაბრუნებელი სული ამოგხადა საბედისწერო ჟამს — 31 დეკემბერს, 12 საათსა და 00 წუთზე.

კვლავაც მშვიდობით, ძვირფასო!

**ამხანაგების ჯგუფი.**

**ნეკროლოგის ტექსტი დასაბეჭდად მოამზადა გიორგი მეგრელიშვილმა**

# სატირა რევოლუციის სამსახურში

**ოქტომბრის** რევოლუცია ორმოცდაათი წლისაა! დიდება სახელოვან იუბილარს! დიდება რევოლუციის სახელოვან ჯარისკაცებს! ჩვენ ერთ ჯარისკაცად ვასახელებთ სატირასა და იუმორს, რომელიც, ხიშტთან ერთად, სიცილის გამანადგურებელი მახვილით მიიკვლევდა გზას იმ საბედისწერო ჟამს...

გადავფურცლოთ ისტორია. საიუბილეო წელს „ნიანგი" გაიხსენებს თავის წინამორბედებს: „ეკალი", „ეშმაკის მათრახი", „ტარტაროზი", „ნიშადური", „ჩვენი გუშაგი", „ხუმარა", „შურდული", „ჩვენი ალიაქოთი", „ჩვენი სალამური", „ცეცხლი", „ჯოჯოხეთი", „ტანგო", „არჩევან-არადან", „სვისტოკი", „მასხარა", „ოხუნჯი", „ლახტი", „ყუმბარა"... აი არასრული სია იმ ჟურნალებისა, რომლებიც რევოლუციამდელ საქართველოში გამოდიოდა. ყველა მათგანს როდი ჰქონდა გარკვეული პოლიტიკური სახე, მაგრამ სიმართლე თავს ვერ მალავდა და ზოგჯერ მათ ფურცლებზეც გაისმოდა სიმართლის ხმა. ამდენად, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება გადავხედოთ ზოგიერთ მათგანს.

**ნიანგი**



მელხინება და მწამს — მალე
გაილვიძებს არე-მარე,
მწამს მთებს შორის თავს ამოჰყოფს
დიადი მზე, მოელვარე!..

გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ.






რუსეთის კონსტიტუცია. არ შეუბეროთ!

## სიტყვების ახსნა

**მანეთი** — ყველას თავსატეხი საგანი.
**მიმიკა** — სიტყვის თავისუფლება.
**მილიონი** — პატარა ღმერთი.
**მიზეზი** — ადვილად ხელწამოსაკრავი საშუალება ყოველივე ავაზაკობის გასამართლებლად.
**მნათე** — ხუცების მაჩანჩალა.
**მონა** — რუსეთის მოქალაქე.
**მეძებარი** — პოლიციის აგენტი.
**მეწყერი** — საზღვარი ძველსა და ახალ წეს-წყობილებას შორის.
**მონაზონი** — ბერების ამხანაგი.
**მორგვი** — გასუქებული ვაჭარი.
**მოღალატე** — გულით მეგობარი.
**მოძღვარი** — ეშმაკის მოციქული.
**მოჯამაგირე** — სახრავი მასალა.
**მსაჯული** — ჯალათი.
**მუშა** — ყველას სალაპარაკო საგანი.
**მუსიკა** — ტყვიების ზუზუნი.
**მუშტი** — პოლიტიკური სალამი.
**მუცელი** — უძირო ქვევრი.
**მუჰი** — გლეხის პურის საწყაო.

გაზ. „შუამავალი". № 5, 1907 წ.

## ბურჟუას სიმღერა

(მიბაძვა აკაკის)

შეეჩვია ნეტარებას აწ გული,
ბავშვობიდან განცხრომაში ჩაშბული.
შეეჩვია სიხარულსა მარად ის,
შვება-ლხენა დამებედა მარადის.

სულ ვიცინი, სულ ვქეიფობ და ვხარობ;
სხვამ იტანჯოს, მე კი მაინც ვნეტარობ.
ბლომათა მაქვს ფული, პური და ღვინო,
მისთვის ვცხოვრობ, რომ მარადის ვილხინო.

რას მიქვია ნაღველი და სევდები,
ქედს მიხრიან და მით უფრო ვმხნევდები.
დროს ვატარებ ქეიფით და ლხენითა,
ვინ რას მაწყენს ან საქმით, ან ენითა?!
ვერვინ დამძლევს, დავიჯერე, ვიწამე,
ვერც სიკვდილი და ვერც შავი მიწა მე!...

**გ. ლადოშვილი**

ჟურნალი „ნიშადური", № 4, 1907 წ.

174
14/III

მთავარი რედაქტორი **ნოდარ დუმბაძე.** სარედაქციო კოლეგია: ზ. გოლქვაძე (პ/მგ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, ო. ჭელიძე. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი".

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ტელ. 9-76-69, 3-10-78. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги". საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა. ხელმოწ. დასაბ. 27/II 1967 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდ. 1. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 655, უე 07475. ტირაჟი 64.000.

ნახ. მამია მალაზონიასი

საქართველოს ზოგიერთ რაიონებში ქელეხს იყენე-
ბენ როგორც შემოსავლის წყაროს.



— დედაჩემო, „მოსკვიჩს“ ალარ ყიდულობ ჩემთვის?!
— ცოტაც მოითმინე, შვილო! ბებიაშენი მოკვდება, ქე-
ლეხზე ფული შემოვა და „მოსკვიჩს“ კი არა, „ვოლგას“ გი-
ყიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
ИНДЕКС 76311